# ახალგაზრდა ივერიელი

[illegible] 1921 წლიდან

11 ივნისი სამშაბათი 1991

№ 67 (11700)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას

ბატონო ზვიად!

ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა სახელით გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას.

ძლიერ გაგვახარა და დაგვაიმედა თქვენს მიერ წარმოთქმულმა საპრეზიდენტო ფიცმა, რადგან გვჯერა, რომ ღვთისა და ხალხის წინაშე ნათქვამ სიტყვას თქვენის ჩვეული შემართებითა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ჭეშმარიტ საქმედ აქცევთ, იმ ჭეშმარიტ საქმედ, რომელსაც თავისუფალი საქართველო ჰქვია.

**ბონდო კეკელია**
**1991 წლის 9 ივნისი.**
**ნიუ-იორკი.**

**საქინფორმი**

# საუბარი იაპონელ ჟურნალისტთან

განვლილ კვირა დღეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო და ინტერვიუ მისცა თვალსაჩინო იაპონელ ჟურნალისტს, მსოფლიოს უდიდესი საინფორმაციო სააგენტოების-იუნაიტედ პრეს ინტერნეშლის, ასაჰის, „ენ-ეიჩ-კეი" ტელეკომპანიის, ჟურნალ „ტოკუმას", წიგნის გამომცემლობების წარმომადგენელს იუტაკა საკაის — საქინფორმის სტუმარს.

იუტაკა საკაიმ არჩევნებში გამარჯვება მიულოცა პრეზიდენტს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვა უცხოელ კორესპონდენტებთან ერთად იყო რამდენიმე საარჩევნო უბანში და თვალნათლივ დარწმუნდა, რაოდენ დემოკრატიულად, თავისუფლად მიმდინარეობდა არჩევნები.

იუტაკა საკაი ამზადებს წიგნს საქართველოს შესახებ, რომელშიც შევა თბილისში, სამაჩაბლოში, აჭარაში, მიწისძვრის ზონაში შეგროვილი და გაკეთებული მასალები და ფოტოჩანახატები, შეხვედრები რესპუბლიკის ბევრ საინტერესო ადამიანთან.

საუბრის დასასრულს ბატონმა ზვიად გამსახურდიამ უპასუხა ჟურნალისტის მთელ რიგ შეკითხვებს, გააცნო მას რესპუბლიკის პოლიტიკური ვითარება.

# შეხვედრები ახალქალაქის რაიონში

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, როგორც ცნობილია, მიიღო ახალქალაქის რაიონის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. საუბრის დროს გამოიკვეთა აქტუალური საკითხები, რომლებიც ამ რაიონში წლების მანძილზე დაგროვდა და სერიოზულად აბრკოლებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სწორედ ამ პრობლემების ადგილზე გაცნობის, მათი წარმომშობი მიზეზის გარკვევისა და გადაჭრის პერსპექტივის დასახვისათვის ახალქალაქის რაიონში ჩავიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე. იგი შეხვდა ახალქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, მოსახლეობას, იყო სოფლებში კუმორდოსა და ვაჩიანში. სახელდახელო ყრილობებზე გულახდილი და პრინციპული საუბარი გაიმართა იმ სიძნელეებზე, რომლებიც რიგ შემთხვევაში ობიექტური მიზეზების გამო, უმეტესად კი ხელოვნურად იქმნებოდა. სამწუხაროდ, ამჟამადაც ქმნიან ადგილობრივი მასშტაბის უუნარო ხელმძღვანელები, თვითმარქვია პოლიტიკოსები, შემთხვევითი პირები. დაუფარავად ითქვა იმის შესახებაც, რომ დესტრუქციული ელემენტები ცდილობენ სეპარატისტული იდეების გავრცელებას, ქართველთა და სომეხთა შორის ტრადიციული ძმობისა და მეგობრობის ხიდის ჩატეხვას.

ბატონ მურმან ომანიძის შეხვედრები ფაქტობრივად იქცა გულახდილ დიალოგად მოსახლეობასთან, რომელთა შედეგად ახალქალაქელები მაქსიმალურად სრულად გაერკვნენ თავისუფალი საქართველოს ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის, სახელმწიფოს დემოკრატიული მმართველობის, მათ შორის პრეფექტურის ინსტიტუტის შექმნისა და ფუნქციონირების, ახალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობათა წარმართვა-განვითარების საკითხებში, სხვა პრობლემებში.

# უმრავლოს საქართველოს ასეთი მამულიშვილები

## ნ. მუსხელიშვილის საიუბილეო საღამო

საბჭოური წესწყობილების ატრიბუტად ქცეული იუბილეომანია ჩვენში ერთგვარად ჩაჩუმდა და ეს დუმილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და მამულიშვილის ნიკოლოზ მუსხელიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა ზეიმმა დაარღვია. მართლაც დიდი ზეიმია, როცა ქართველი კაცის საუკუნოვან იუბილეს მხოლოდ მისი მშობლიური ხალხი რომ არ აღნიშნავს...

თბილისში ქართველი მეცნიერის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად ჩამოვიდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მათემატიკოსები და მექანიკოსები, ბევრი მათგანი თავს მუსხელიშვილის მოწაფედ თვლის.

საიუბილეო სამეცნიერო სიმპოზიუმის და სხვა ღონისძიებათა დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა მეცნიერის საიუბილეო საღამო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში, რომელიც 8 ივნისს შესდგა.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ. სიტყვა ნიკო მუსხელიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ივანე კილურაძემ.

საიუბილეო საღამო დამთავრდა საოპერო მუსიკის კონცერტით.

# ქართული მილიციის აღლუმი

8 ივნისს თბილისში რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა საქართველოს ეროვნული მილიციის თბილისის გარნიზონის საზეიმო აღლუმი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ფიცის დადებას.

რუსთაველის პროსპექტზე მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ქართულმა მილიციელებმა, რომლებსაც დაკისრებული აქვთ დიდი ეროვნული საქმე — საქართველოს დედაქალაქში მართლწესრიგის დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა და შინაგან საქმეთა თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსმა გრიგოლ შონიამ სიტყვით მიმართეს აღლუმის მონაწილეებს.

აღლუმის შემდეგ ბატონმა დილარ ხაბულიანმა მისალოცი ადრესი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ბატონ ზვიად გამსახურდიას.

**საქინფორმი**

# საერთაშორისო ცხოვრება

**პრეზიდენტმა** გორბაჩოვმა შვეციაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ბალტიისპირეთის ხალხისადმი თანაგრძნობამ არ უნდა მიიღოს საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში ჩარევის ფორმა. ბალტიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი იყო მოლაპარაკებაზე საბჭოთა პრეზიდენტსა და შვეციის პრემიერს ინგვარ კარლსონს შორის სტოკჰოლმში. შეხვედრაზე ი. კარლსონმა ხაზი გაუსვა, რომ ბალტიის ქვეყნებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება და რომ ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას პოლიტიკური დიალოგის გზით და არა ძალის გამოყენებით. შვეციის ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა გორბაჩოვთან საუბრისას ასევე მხარი დაუჭირეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

●

**ბრიტანეთის** პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯერის წინადადებით, მ. გორბაჩოვი ჩავა ლონდონში „დიდი შვიდეულის" ლიდერებთან შესახვედრად მათი თათბირის დამთავრების შემდეგ, ხოლო უშუალოდ თათბირს არ დაესწრება. საბჭოთა პრეზიდენტს კი, როგორც იცით, სურს მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ შეხვედრაში, რათა მიაღწიოს დასავლეთისაგან ფინანსურ დახმარებას. მართალია, ამერიკელები, რომელთაც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით ამ საკითხში, პრინციპში დათანხმდნენ გორბაჩოვის მიწვევაზე, მაგრამ პირდაპირი ფინანსური დახმარების გაწევას, როგორც ჩანს, არ ჩქარობენ.

აშშ ვიცე-პრეზიდენტმა დენ კუეილმა ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ პრეზიდენტი ბუშისა და მისი აზრით, საბჭოთა მთავრობამ თავისი პრობლემები საკუთარი ძალებით უნდა გადაჭრას. მისი თქმით, ვაშინგტონი კონსულტაციებს გაუწევს მოსკოვს ეკონომიკური რეფორმების საკითხში, მაგრამ პირდაპირი ფინანსური დახმარების გაწევაზე, ალბათ, თავს შეიკავებს.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის განცხადებით გამოვიდა სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი კოპენჰაგენში ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე. მან თქვა, რომ შეერთებული შტატები მზადაა მხარი დაუჭიროს რეფორმების პროცესს საბჭოთა კავშირში, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ ეს პროცესი მეტად რთული და ხანგრძლივი იქნება და ფართო მასშტაბის პირდაპირი ფინანსური დახმარება ხელს ვერ შეუწყობს მას.

ესპანეთის პრემიერმა ფ. გონსალესმა კი სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. 8-9 ივლისს ის მოსკოვში ჩავა და ხელს მოაწერს ახალ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც გათვალისწინებს მორიგი ესპანური დახმარების გაწევას მოსკოვისათვის, ამჯერად 1,5 მილიარდი დოლარის კრედიტების სახით.

●

**იუგოსლავიის** 6 რესპუბლიკის ლიდერებმა სარაევოში მიმდინარე შეხვედრაზე მიაღწიეს გარკვეულ კომპრომისს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისიდან თავის დასაღწევად. ბოსნიისა და მაკედონიის პრეზიდენტმა წამოაყენეს წინადადება, რომელიც ითვალისწინებს სუვერენული რესპუბლიკის კავშირის შექმნას ერთიანი არმიით და სავალუტო სისტემით, ასევე საერთო საგარეო პოლიტიკით. ამასთან რესპუბლიკებს ექნებათ უფლება, ჰყავდეთ საკუთარი არმია, დიპლომატიური მისიები და ცალ-ცალკე შევიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, თუმცა სლოვენია უარყოფს ამ გეგმას და აცხადებს, რომ კვლავ შეეცდება დამოუკიდებლობის მიღწევას, სანამ არ გამონახავენ მისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას.

●

**პოლონეთის** პრეზიდენტმა ლეხ ვალენსამ უარი თქვა ახალი საარჩევნო კანონის ხელმოწერაზე. მისი აზრით, ის მეტად რთულია და პარლამენტში გამოიწვევს ისეთ ფრაქციულობას, რომ შეუძლებელი გახდება ერთიანი, მტკიცე მთავრობის ჩამოყალიბება. ვალენსას გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს პირველი დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების გადატანა, რომელიც ოქტომბერშია დანიშნული.

●

**რომის** პაპმა იოანე პავლე II უარყო მტკიცება იმის შესახებ, რომ ახლა, როდესაც კომუნიზმი დაემხო, კათოლიკური ეკლესია ცდილობს პოლონეთში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას. პაპმა ამის შესახებ თქვა ქ. ოლშტაინში გამოსვლისას, პოლონეთში მოგზაურობის მე-6 დღეს. იოანე პავლე II, რომელიც წარმოშობით პოლონელია, მოუწოდა თანამემამულეებს, გონივრად ისარგებლონ იმ დემოკრატიული თავისუფლებებით, რომელთაც ისინი მოკლებულნი იყვნენ ათწლეულების მანძილზე.

●

**ერაყი** აღარ მიიღებს სასურსათო დახმარებას გაეროს ხაზით, სანამ არ დააბრუნებს ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების სურსათის მარაგს, რომელიც ქურთი ლტოლვილებისათვის იყო განკუთვნილი და მთავრობამ მიითვისა. ვარაუდობენ, რომ ერაყის მთავრობის ერთ-ერთი წევრი უცხოეთიდან შემოსულ ქურთებისათვის განკუთვნილ დახმარებას ანაწილებდა ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში საბაზრო სისტემით.

**ირინა თევდორაშვილი**

# ეკლესია გლდანშიც ამოქმედდება

„ხალხი და სახელმწიფო, რომელიც არ გემსახურება შენ (ღმერთს) — დაიღუპებიან და სრულიად აღიგვებიან პირისაგან მიწისა“.

(ესაია 60. 12).

**დღეს** ფართოდ გაეხსნა კარი საეკლესიო ცხოვრებას, კვლავ აღორძინდა ეკლესია-მონასტრების აღმშენებლობა. გაჩნდა სულიერი კულტურის ახალი კერები. გლდანის რაიონის ტერიტორიაზე დღემდე არც ერთი ეკლესია არ მოქმედებდა, თუმცა ისტორიული წყაროები გვამცნობენ აქ მათ არსებობას. დღეს გლდანშიც გაიღვიძა საუკუნეების წინათ დამარხულმა საეკლესიო ცხოვრებამ, კიდევ ერთხელ იზეიმა რწმენამ და სიკეთემ — საფუძველი ჩაეყარა ეკლესიას, რომელსაც ლომისის წმინდა გიორგის სახელი ეწოდა.

გასული წლის 25 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ეკლესიის საძირკველი აკურთხა ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზმა მამა ელიზბარმა ([illegible]ადიშვილი). სწორედ მას და [illegible] ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარს მამა ვასილს (ქალაძვიშვილს) ეკუთვნის ეს სამშვილიშვილო წამოწყება.

ახლადაგებული ეკლესია ბაზილიკაა. იგი აიგო იქ, სადაც ჟამთა სიავითა თუ ჩვენი ავბედითი ისტორიის წყალობით საუკუნეების მანძილზე ხავსითა და ბალახით დაფარული ძველი ტაძრის ნანგრევები იყო შემორჩენილი. ტაძრის მშენებლობის ხარჯებისათვის არაფერი დაიშურეს როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ისე რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქარხნებმა და წარმოება-დაწესებულებებმა. ეკლესიის პროექტი უსასყიდლოდ შეასრულა არქიტექტორმა თამაზ ბექანიშვილმა.

ბაზილიკა ერთნავიანია. ძველი ეკლესიის ნანგრევი ქვის ნაწილი ახალი ტაძრის კედლებშია ჩაშენებული, ნაწილი კი იატაკად სურთ გამოიყენონ. ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის მოპირკეთება დეკორატიულად დამუშავებული ეკლარის ქვით. გადახურვა მოხდება ქართული კრამიტით. კედლები მოიხატება. კეთილმოეწყობა ეკლესიის ტერიტორია. აშენდება სამრეკლო და სხვა ნაგებობანი. სამუშაოების დასრულებას მშენებლები სექტემბრისათვის ვარაუდობენ.

29 მაისს ლომისის წმინდა გიორგის დღესთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II ეკლესიაში პარაკლისი გადაიხადა.

— რწმენა დაუბრუნდა ხალხს, — გვეუბნება მამა ვასილი, — ამიერიდან გლდანელებსაც ექნებათ წმინდა ადგილი ლოცვისათვის. უკვე ყოველ კვირასა და რელიგიური დღესასწაულების დღეებში ვატარებთ წირვა-ლოცვას.

მოძღვარი მადლიერების გრძნობით იხსენიებს გლდანის რაიონის ყოფილ აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ელდარ გოდერძიშვილს, რომელმაც თანადგომა და ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინა მშენებლობას. ასევე მე-13 სამშენებლო ტრესტთან არსებულ კოოპერატივ „კარკასს“ (უფროსი — ვაჟა ჩხაიძე) სამეურნეო აქციონერულ ასოციაცია „მონტაჟს“ (უფროსი — ანზორ ჩხეტია), კოოპერატივ „ენერგომშენს“ (უფროსი — ნოდარ გვაძაბია), გლდანის რაიონის ბეტონის ქარხანას, ქალაქის წყალკანალტრესტს (რომელმაც ეკლესიას უსასყიდლოდ გადასცა ზარი) და სთხოვს გლდანის რაიონის სხვა წარმოება-დაწესებულებებს რომ შეძლებისდაგვარად დაეხმარონ მშენებლობას.

ტაძარს მოვლასა და მზრუნველობას არ აკლებენ სასულიერო სემინარის სტუდენტები ილია სუხიშვილი და იოანე როსტიაშვილი. ამ დიდ საქმეში მონაწილეობას იღებენ 173-ე, 115-ე და 71-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებიც.

**თინათინ თათიკაშვილი**

# თურქეთი-საქართველო — ჯანსაღი ურთიერთობისათვის

1979 წელს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით საქართველოში ჩამოვედი სასწავლებლად. იმ დროიდან მოყოლებული ფაქტიურად ვიმყოფები აქ. ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო პერიოდი საქართველოში გავატარე, აქ ჩამოვყალიბდი როგორც კაცი, როგორც პიროვნება. მე წარმოშობით ქართველი და ამავე დროს თურქეთის მოქალაქე გახლავართ, ამიტომ საქართველო-თურქეთის ნორმალური ურთიერთობით, ბუნებრივია, დაინტერესებული ვარ. მით უმეტეს რომ ქართველოლოგი ვარ. ვმუშაობ თურქეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე. 1981 წელს დავამთავრე თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ვსწავლობ ასპირანტურაში ისტორიის განხრით. ვმუშაობ თემაზე: „1578-1590 წლების ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო“. პარალელურად ვეწევი მთარგმნელობით მუშაობას. საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მთარგმნელობითი კოლეგიის დაკვეთით თურქულად ვთარგმნე შემდეგი ნაწარმოებები: ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ (უკვე გამოცემულია თურქეთში), „განდეგილი“, აკაკი წერეთლის „გამზრდელი“; ნოდარ დუმბაძის რომანები: „მარადისობის კანონი“ (უკვე გამოცემულია თურქეთში). „თეთრი ბაირაღები“ და „მზიანი ღამე“ (გადაცემულია ასაბეჭდად).

ჩემი მიზანია, გავაგრძელო მთარგმნელობითი მუშაობა და ამასთანავე ინტენსიურად ვიმუშაო თურქეთ-საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ასევე მსურს, შეძლებისდაგვარად აქტიური მონაწილეობა მივიღო ამ ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებაში. ამ კუთხით, როგორც თქვენთვის ცნობილია, თურქეთის პარლამენტთა კავშირის ინიციატივით საქართველოში ევროპის პარლამენტთა კავშირის სემინარის ჩატარების საქმეში, ანკარა-თბილისის დაძმობილების და მსგავსი კულტურული თუ ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის შეტანილი.

დღითი-დღე ვითარდება თურქეთ-საქართველოს კონტაქტები, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ დონეზე. ისევე როგორც ყოველ ახლადწამოწყებულ საქმეში, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობაშიც შეიმჩნევა გარკვეული ხარვეზები და ნაკლოვანებები, რის მომსწრეც და თვითმხილველიც მე თავად გახლავართ. ამ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად მესახება შემდეგი გზა: აუცილებელია თურქეთ-საქართველოს ასოციაციის შექმნა, რომელიც კოორდინაციას გაუწევს ეკონომიკურ, კულტურულ თუ სოციალურ პოლიტიკურ ურთიერთობებს (აქვე უნდა აღვნიშნო, იგივე სახელმწიფოების ასოციაცია არსებობს, თუმცა, მიზეზთა სხვადასხვათა გამო სათანადოდ არ ფუნქციონირებს).

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველო უახლეს ხანში გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და რასაკვირველია, დამოუკიდებელ ქვეყანას უნდა ჰქონდეს გამომუშავებული საგარეო პოლიტიკა ახლო მეზობლების და მათ შორის თურქეთის მიმართაც. სწორედ ამ დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს ზემოთხსენებული ასოციაცია. ჩემი პირადი გამოცდილებით ვიცი, რომ ორივე მხარეს, როგორც თურქეთის ისე საქართველოს წარმომადგენლებს არა აქვთ რეალური ინფორმაცია ერთმანეთის შესახებ. და აქედან გამომდინარე ჰიანურდება სხვადასხვა მოლაპარაკებანი თუ გარიგებანი:

ასოციაციის ნორმალური ფუნქციონირების შემთხვევაში, მე მიმაჩნია, ასეთ ქაოსურ და გაუთავებელ მოლაპარაკებას ბოლო მოეღება. ამ ფაქტის განსამტკიცებლად მოვიყვან რამდენიმე მაგალითს ჩემი ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრებიდან. ამას წინათ ბატონმა ბაქარ გიგინეიშვილმა ითხოვა რომ ანკარის გუბერნატორი დახმარებოდა ქართველ მეცნიერებს თურქეთის არქივებში სამუშაოს ჩატარებაში. ეს იმ დროს, როცა საქართველოს კულტურის მინისტრს ჰქონდა ოფიციალური წერილი თურქი კოლეგისაგან, რომელშიც ის თხოვდა ქართველ მინისტრს კულტურული ურთიერთობის განვითარებას. ეს მაგალითი მოწმობს ინფორმაციის ნაკლებობაზე და მაკოორდინებელი ასოციაციის შექმნის აუცილებლობაზე. საქმე ის არის, რომ არქივები და მსგავსი დაწესებულებები თურქეთში კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, რაც უცნობი იყო ქართული მხარესათვის.

ან კიდევ თურქ გუბერნატორებთან ბორჯომში შეხვედრის დროს ერთ-ერთმა პრეფექტმა განაცხადა გაუმარჯოს თურქეთის საქართველოსო, ასეთი და მსგავსი ხასიათის განცხადებები ზიანის მეტს არაფერს მოუტანს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობას. იმ პრეფექტის საქციელი კი შეიძლება გამოწვეული იყო ინფორმაციის ნაკლებობით, რომელიც ბანალური პოლიტიკური სიბეცის საბაბი გახდა.

ან სულ ახლახან ბატონ ზვიად გამსახურდიას შეხვდნენ თურქეთის გაზეთ „თურქიეთის“ ჟურნალისტები, რომლებიც ალბათ, თვითონ წარუდგნენ, ბატონ პრეზიდენტს როგორც თურქეთის ერთ-ერთი წამყვანი, გავლენიანი და დემოკრატიული გაზეთის თანამშრომლები, რომელთაგანაც ერთ-ერთმა თავისი ქართული წარმომავლობა აღნიშნა. სინამდვილეში კი ეს გაზეთი არ გახლავთ დემოკრატიული ორგანო, რაც შეეხება გავლენიანს და წამყვანს, ის მართლაც ასეთია ნეოფაშისტურ და პანთურქისტული წრეებისათვის. რა თქმა უნდა, ვაღიარებ პრესის თავისუფლებას, და ჩემი საქმე არაა, მე ვინ მეკითხება, თუ ვის მიიღებს და შეხვდება საქართველოს პრეზიდენტი, მაგრამ მგონია ამ შემთხვევაში ინფორმაციის არ არსებობის გამო ქართული მხარე შეცდომაში იყო შეყვანილი თურქი ჟურნალისტების ცრუ თვითრეკლამით. არა და თურქეთის პრესაში საქართველოს შესახებ ძალიან მწირი და ამავე დროს ტენდენციური ინფორმაცია იბეჭდება. მართლაც, საშური საქმე გაკეთდება. რა თქმა უნდა, პირველ რიგში საქართველოსათვის თუ თურქეთის მართლაც გავლენიანი დემოკრატიული პრესის წარმომადგენლობის ჩამოყვანას მოებმება თავი, რაც ჩემი აზრით, ზემოთხსენებული ასოციაციის თაოსნობით უნდა მოხდეს (რა თქმა უნდა ჯერ ასოციაცია უნდა შეიქმნას).

მსგავსი მაგალითების მოყვანა სამწუხაროდ მრავლად შეიძლება, მათგან მინდა კიდევ ერთზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, ვინმე თურქი არქიტექტორი ერთ-ერთ ქართველ მინისტრს წარუდგა როგორც თურქეთის პრეზიდენტის ოზალის თანაშემწე, ამ მინისტრის წყალობით თვითმარქვია „თანაშემწე“ წარუდგინეს ბატონ ტ. სიგუას. ზემოთხსენებული ასოციაცია გზას გადაუღობავდა ასეთ თვითმარქვიობას და კურიოზში გადაზრდილ და უხერხულ სიტუაციებს არ გამოიწვევდა.

ასევე, მოაწესრიგებდა სტუდენტების ქაოსური და სრულიად შეურჩეველ ჩამოყვანას საქართველოში. რასაც დიდი მორალური მნიშვნელობა აქვს და გზას მოუჭრის იმ უზნეო ადამიანებს, რომლებიც მათი ჩამოყვანით ჯიბეებს ისქელებენ.

**ალი ალთუნი**

## სხვა გაზეთებიდან

### ბინდათ, მართოთ საბჭოთა ავიაგამანადგურებელი?

„თქვენ შეგიძლიათ აისრულოთ სანუკვარი ოცნება და თავად მართოთ საბჭოთა გამანადგურებელი „მიგ-2“. — ასე მოუხმობს მსურველებს ბრიტანული ტურისტული ფირმის „ბლუ სკაი ადვენჩერზის“ რეკლამა (საკდესი). გადაიხდის რა 3 ათას ფუნტ სტერლინგს, ყოველ მსურველს შეუძლია პოლონეთში გაემგზავროს და ხანმოკლე მომზადების შემდეგ ავიაგამანადგურებლის საჭესთან მჯდარი აიჭრას ცაში, რაც „ბლუ სკაი ადვენჩერზსსა“ და პოლონურ ფირმა „ლეტს“ შორის მიღწეული გარიგების შედეგად გახდა შესაძლებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს თვითმფრინავი ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ძირითადი შტატიანი გამანადგურებელი იყო („სელსკაია ჟიზნ“, № 110).

### აზერბაიჯანელი მეხანძრე ყველაზე კარგი მეხანძრეა

ქუვეითთან მოლაპარაკების საფუძველზე აზერბაიჯანელმა მეხანძრეებმა ამ ქვეყნის 150 აალებული ჭაბურღილის ჩაქრობა ითავეს. ეს სამუშაო 100 მილიონი დოლარი დაჯდება. როგორც „იზვესტია“ (№ 132) იუწყება, აზერბაიჯანელი მეხანძრეები ერთ-ერთი პირველები არიან როგორც ხმელეთზე ისე ზღვაზე აალებული ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ჩაქრობაში.

### ჯარისკაცო, ხმა მიეცი ელცინს!

„ჯარისკაცო! რუსეთს დღეს შენი ავტომატის, ჯავშანჟილეტისა და ბრძანების უცილობელი შესრულების იმედი აქვს. რუსეთი შენს ხმას ითხოვს. ხმა მიეცი პირველ დამოუკიდებელ ლიდერს—ბორის ელცინს, მოუხმე მას რუსეთის პირველი სახალხო პრეზიდენტის პოსტზე და აღარასოდეს დაგჭირდება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლა“. საკოორდინაციო საბჭოს—„სამხედროები დემოკრატიისათვის“ — ამ მიმართვას ხელს აწერს 16 სამხედრო პირი, მათ შორის არიან გენერლები, პოლკოვნიკები, პირველი რანგის კაპიტნები („მოსკოვსკიე ნოვოსტი“ № 22).

### ნორვეგიელები ებრძვიან... საბჭოთა ღრუბლებს

მურმანსკის ოლქის ნიკელის დასახლებაში მდებარე კომბინატის სპილენძსადნობ საამქროში შეაღწია ორმა ნორვეგიელმა ტურისტმა და ლითონის საყრდენზე მიიჯაჭვა თავი. მანამდე კი მათ გაშალეს პლაკატი: „ძირს სიკვდილის ღრუბლები!“.

საათნახევრის შემდეგ ტურისტები „შეხსნეს“ საყრდენიდან და პეჩენგის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში მიიყვანეს, სადაც ადმინისტრაციულ დარღვევასთან დაკავშირებული ოქმი შეადგინეს („კომსომოლსკაია პრავდა“ № 126).

### ვინ როგორ ცხოვრობს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 160 ქვეყნის ცხოვრების დონის ამსახველი მონაცემები („რაბოჩაია ტრიბუნა“ № 110). ეკონომიკური მდგომარეობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის, განათლების დონის მიხედვით ცხრილის პირველ ხუთეულში არიან იაპონია, ისლანდია, შვეცია, შვეიცარია და ნორვეგია.

რაც შეეხება „ცხოვრების ხარისხის“ სკალას, სადაც ბევრად მეტი პარამეტრია ჩართული (მოქალაქეთა სიცოცხლის უსაფრთხოება, ეკოლოგია, ყოველ სულ მოსახლეზე გამოშვებული ნაბეჭდი პროდუქცია და ა. შ.), ლიდერობას არავის უთმობს ისლანდია.

გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეკლარაციის 40 პუნქტის დაცვის თვალსაზრისით კი ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ დანიასა და შვეციას (98 პროცენტი), ყველაზე უარესი ირანს (ნოლი პროცენტი), ცხრილის ბოლოში არიან, აგრეთვე, ლივია, რუმინეთი, ეთიოპია, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, სსრკ და ბულგარეთი (1-4 პროცენტი).

### შევარდნაძის წიგნს ჯერ ფრანგები წაიკითხავენ

„კომსომოლსკაია პრავდას“ (№ 126) პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, მართალია, ედუარდ შევარდნაძე პირველად ჩავიდა საფრანგეთში „დიდი საბჭოთა უფროსის“ ტიტულის გარეშე, მაგრამ მას ძველებურად გულთბილად და იქნებ მეტი გულახდილობითაც კი შეხვდნენ. ვარაუდობენ, რომ მას მიიღებენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა მიტერანი, საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა და საფრანგეთის უმაღლესი პოლიტიკური იერარქიის სხვა წარმომადგენლები. საფრანგეთში ჩასვლის ახლანდელი მიზანი შევარდნაძის წიგნის — „მომავალი თავისუფლებას ეკუთვნის“ პრეზენტაციაა. ფრანგულმა გამომცემლობა „ოდილ ჟაკობ“-მა დასავლეთში პირველმა გამოსცა ეს წიგნი და ცხადია, მას პირველებიც ფრანგები წაიკითხავენ.

### „მომავალი ომი იაპონიასთან“

ფრანს პრესის ცნობით, ამერიკაში ასეთი სათაურით გამოვიდა უნივერსიტეტის ორი პროფესორის ჯორჯ ფრიდმანის და მერეტიდ ლებარდის წიგნი. ავტორები ამტკიცებენ, რომ აშშ-სა და იაპონიას შორის ახლო მომავალში „ცხელი“ თუ არა, „ცივი“ ომი მაინცაა მოსალოდნელი, რასაც შემდეგი თეზისებით ასაბუთებენ: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა „ცივმა ომმა“ იაპონიას „ოქროს საუკუნე“ მოუტანა. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაწყებულ ამ ომში მხარდაჭერისათვის ამერიკამ ყოველმხრივ, ხანდახან საკუთარი თავისთვის მიყენებული ზარალის ხარჯზეც, შეუწყო ხელი იაპონიის ეკონომიკის აღორძინებას.

ახლა, როცა „საბჭოთა საფრთხე“ აღარ არსებობს, ამერიკა უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს თავის მოკავშირეებს. ასეთ პირობებში აშშ-სა და იაპონიას შორის მწვავე კონფრონტაცია გარდაუვალია“.

წიგნი 45-ათასიანი ტირაჟით გამოვიდა და უმალ გაიყიდა („იზვესტია“ № 132).

### ამერიკის ახალი ელჩი საბჭოთა კავშირში

4 ივნისს ჯორჯ ბუშმა დაასახელა საბჭოთა კავშირში ამერიკის ახალი ელჩი. სენატში დამტკიცების შემდეგ ელჩი გახდება 72 წლის რობერტ სტრაუსი, რომელსაც ადრე აშშ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის პოსტი ეკავა („კომსომოლსკაია პრავდა“ № 126).

### გასწორება

1 ივნისის ნომერში სათაურით „აიეტ-ფარნავაზიდან — სახაროვნიხასამდე“ გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა პერიოდის რუკები სათანადო წარწერებით. მასში № 2 და № 3 რუკები ერთმანეთშია არეული. საჭიროა მათი ურთიერთ გადაადგილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცრუის მორევი

მონობაში დაბადებული ადვილად როდი ხვდება, რომ ის მონა იყო, მით უმეტეს როცა აზროვნების და განსჯის უნარი დაკონსერვებული აქვს და სხვათა სიტყვა, ამ შემთხვევაში უფროსის, ოფიციალური ხელისუფლების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, უცილობელი ჭეშმარიტება ეგონა. ნათქვამია, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო, მაგრამ არც ისე მოკლე, ჩვენ რომ გვგონია. შვიდი ათეული წელი საბჭოთა ლიდერები და მათი პრესა, რადიო, წიგნები, ხალხს ტყუილებით კვებავდა და ეს სიცრუე, უზარმაზარი იმპერიის მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ, სრულ და ეჭვმიუტანელ სიმართლედ მიიღო.

ასიათასობით ლექსია დაწერილი პარტიის, ლენინისა და სტალინისადმი მიძღვნილი. პოეტები ხალხს ატყუებდნენ, სიცრუის მორევში ითრევდნენ, მაგრამ განა თვითონ კი იცოდნენ, რომ ტყუოდნენ? არა, თვითონაც მოტყუებული იყვნენ.

მაიაკოვსკიმ მთელი პოემა უძღვნა ლენინს. მაქსიმ გორკიმაც ქება-დიდებით ალსავსე წიგნი უძღვნა ლენინს.

ისინიც მოტყუვდნენ. იქნებ ამიტომაც იკრა შუბლში ტყვია მაიაკოვსკიმ, რაკი მიხვდა მოტყუებული იყო.

ლენინზე დაწერილ პოემაში ვლადიმერ ვლადიმერის ძეს ნათქვამი აქვს — „სიყრმიდანვე მაშინებდა რამე სიყალბეო“, მაგრამ იქვე თავადვე წამოეგო სიყალბის ანკესზე:

„ცოცხლებზე უფრო
დღეს ცოცხალი,
ლენინო დგახარ,
ჩვენი ცოდნა ხარ,
ჩვენი ძალა და
იარალი“.

ან ეს:

„მე ვნახე მუშა
წერა-კითხვის უცოდინარი.
ჯერ არ ეგემნა
ანბანის სიტკბო,
მაგრამ ლენინის
მოესმინა მას საუბარი
და ყველაფერი
იცოდა მიტომ“.

ხალხის მოტყუების სინდრომი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღიდანვე დაიწყო და ჩაითრია მილიონები.

ჰუმანისტი მაიაკოვსკი ლენინისადმი მიძღვნილ პოემაში წერს, რეგვენის მეტს ვილას ახსოვს დემოკრატია, წაართვი მდიდრებს, მიითვისე მათი საკუთრება და აი, ეს არისო პროლეტარული დემოკრატია. ხანდახან გგონია კაცს, იქნებ ყველაფერს ძალიანაც კარგად აღიქვამდა პოეტი და მისი პოემა „ლენინი“ ჰიმნი კი არ არის რუსეთის კომუნისტური პარტიისადმი, არამედ მძაფრი პოეტური პამფლეტი ან სარკასტული პაროდია:

„ბრძოლას ლენინი
კულაკებთან
არ აგვიანებს
სურსათრაზმებით,
სასურსათო
გადასახადით.
ასეთ დროს
ვილას ახსოვს სიტყვა —
„დემოკრატია“,
თუ არა რეგვენს,
ხომ დახშვია აზრის კარები,
უნდა დაარტყა
ლოთიანი დარტყმა კარგია.
ძლევის დროშაა
დიქტატურა პროლეტარების“.

მაქსიმ გორკიმ თავის ნარკვევში ლენინის შესახებ დაწერა: „გარეგნულად ლენინი წარმოუდგენელია უსიტყვოდ, როგორც თევზი უქერცლოდ, იგი ისევე უბრალო და პირდაპირია, როგორც ყველაფერი, რასაც კი ამბობდა. მისი გმირობა თითქმის სავსებით მოკლებულია გარეგან ბრწყინვალებას. მისი გმირობა — ეს იმ პატიოსანი რუსი რევოლუციონერი ინტელიგენტის სადა, ასკეტური გმირობაა, რომელსაც მტკიცედ სწამს ამ ქვეყანაზე სოციალური სამართლიანობის შესაძლებლობა, ეს არის იმ ადამიანის ბრძოლა, ვინც უარი თქვა ამქვეყნიურ ყველა სიხარულზე და მძიმე შრომა აირჩია, რომ ადამიანებისათვის ბედნიერება მოეტანა“.

არა, არ იყო დიდი მაქსიმ გორკი გულწრფელი, როცა ამას წერდა.

ლენინმა მართლაც შეაზანზარა მსოფლიო, მაგრამ არა ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ უბედური ხალხის დასამონებლად.

**შალვა ამინაშვილი**

**თუ ნატურალური**
**კახური ღვინო გსურთ**

საქართველოში ქართველ კაცს ნატურალური ღვინის გემო (და მგონი ფასიც) დაავიწყდა. ამ „ხარვეზის“ გამოსწორება ძნელი არაა. ნატურალური კახური ღვინის მოყვარულთ გთხოვთ, მობრძანდეთ „ახალგაზრდა ივერიელისა“ და „შანსის“ დამხმარე საწარმოო მეურნეობის ღვინის მაღაზია „შილდაში“, სადაც თქვენ გვიან ღამემდე შეგიძლიათ შეიძინოთ ნამდვილი კახური ნატურალური ღვინო!

მაღაზია „შილდის“ მისამართია – თბილისი, ანაგის ქ. №39 (საბურთალოს ბაზართან).

გამოხმაურება

# საჭიროა მასშტაბური კვლევა

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ (31 იანვარი, 1991 წ.) დაიბეჭდა ბ-ნ ელბერტ ბატიაშვილის წერილი, „პოლიტიკა-პოლიტოლოგია — ტრადიციონალიზმი...“ თავს უფლებას ვაძლევ გამოვეხმაურო ამ წერილს, რამეთუ მანამდე, გაზეთ „თბილისში“ (26 ნოემბერი, 1990 წ) გამოქვეყნდა ჩემი სტატია „კონსერვატიზმის საკითხი ჩვენში“, სადაც შევეცადე მსოფლმხედველობრივ — პოლიტიკურ დონეზე, ჩვენს ტრადიციათა გათვალისწინებით დამესვა ნეოკონსერვატიზმის საკითხი. წერილში აღნიშნული იყო, რომ ტრადიცია, ქრონოლოგიურად თუ მივყვებით, გვაქვს რესპუბლიკანიზმისაც, ლიბერალიზმისაც, მონარქიზმისაც, ბუნებრივობაზე დაფუძნებული საერთო კავკასიური სათემო ყოფისაც. ჩვენს მსოფლმხედველობაში შეინიშნება სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი შრეებიც.

ქართული პოლიტოლოგიის, როდესაც ის საბოლოოდ აიდგამს ფეხს, ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება გამოარჩიოს ამათგან ის ტრადიცია, ის საზრისი, რომელიც უშუალოდ ქართველი ერის წიაღიდანაა ამოზრდილი და დასახოს ამ ტრადიცია-საზრისსა და თანამედროვეობას შორის ურთიერთშესაბამისობის გზები.

„ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებულ წერილში ამ ტრადიციათაგან გამორჩეულია მონარქიზმის ტრადიცია და თანამედროვეობასთან იგი კონსტიტუციური მონარქიის სახითაა შესაბამებული. რა თქმა უნდა, არჩევანი ავტორის ნებაზეა დამოკიდებული... ჩემი ყურადღება მიიპყრო საკითხის თითქოსდა ფორმალურმა მხარემ. მაგალითად, ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი უყურადღებოდაა დატოვებული, ზოგიც ცუდადაა დასაბუთებული.

პოლიტოლოგია იმ გზას სახავს, რომლითაც შემდგომ ერმა უნდა იაროს. ასე რომ ამ დარგში უზუსტობებზე თვალის დახუჭვა არ ეგების. ამიტომ გავბედავ და გამოვეხმაურები ხსენებულ წერილს.

წერილში აქსიომურად გამოთქმულია ასეთი აზრი, რომ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა დადებით როლს ითამაშებს ეროვნულ კონსოლიდაციაში და განსაკუთრებით კი „საქართველოს დღევანდელი საზღვრების გარეთ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეში“. ეს აზრი საჭიროებს განმარტებას და დასაბუთებას. შემდეგ აზრთა სვლა ასე ვითარდება „...და აგრეთვე მეზობელ მაჰმადიანურ სამყაროსთან „ყონაღობის“ ძველი კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენასა და განვითარებაში“. აქაც განსამარტია XX საუკუნის მიწურულში რომელ „ყონაღობაზეა“ საერთოდ ლაპარაკი. წერილში მინიშნებულია იმაზეც, რომ მონარქის ინსტიტუტი მოსპობდა პარტიათა შორის მწვავე დაპირისპირებას. არ ვიცი რამდენად სწორად გავიგე ეს მინიშნება, მაგრამ ასეთი კონსტატაციით ეს აზრი არაკორექტულად მეჩვენება. აქ მხოლოდ და მხოლოდ იმაში შემიძლია დავეთანხმო ავტორს, რომ ეს მწვავე დაპირისპირება პარტიებს შორის, ფაქტობრივად არსებობს და არსებობდა პარტიათა გაჩენის დღიდან. შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ „პარტიობანას“ ისტორიულად არც რაიმე სიკეთე მოუტანია ჩვენთვის. ამიტომაც ასე მიმაჩნია, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კვალიფიციური უმრავლესობა რეგიონალური წარმომადგენლობით შეყვანილ პარლამენტარებს უნდა ჰქონდეთ და არა პარტიული თუ სხვა სახის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი წარმომადგენლობით შეყვანილ დეპუტატებს. საკითხის ასე დასმას აქვს თავისი საფუძველი ჩვენს ტრადიციაში, ჩვენს ეთნო-ფსიქიკაში, ხოლო საკითხის ასე დასმის საჭიროებაზე კი მიგვანიშნებს ჩვენში პარტიათა „თანაარსებობის“ ისტორია.

ავტორი ნაწილობრივ ლაპარაკობს ისეთ ვრცელ და რთულ საკითხზეც, როგორიცაა ე. წ. ინტეგრაციის პროცესები მსოფლიოში და ევროპაში: „კონსტიტუციური მონარქიის სასარგებლოდ შეიძლება აღინიშნოს რიგი სხვა არგუმენტებიც: გლობალური და საერთო-ევროპული ინტეგრაციის პირობებში, მან დადებითი როლი უნდა ითამაშოს უახლოესი ხანებისათვის „საერთო ბაზარში“ საქართველოს, ანდა საქართველოსთან ერთად მთლიანად კავკასიის რეგიონის ასოციაციურ წევრად გაერთიანების საქმეში.“ საერთო ბაზარში შესვლა დამოკიდებულია ეკონომიკურ, პოლიტიკურ პროცესებზე, ერთის მხრივ ორთოდოქსულ რელიგიურ ან ნაციონალისტურ მოძრაობებზე, მეორის მხრივ სოციალისტურ მასონურ და სიონისტურ მოძრაობებზე, აგრეთვე სხვა მრავალ ფაქტორზე, მაგრამ არა იმაზე, საქართველო კონსტიტუციურ-მონარქიული იქნება თუ არა. გარდა ამისა, საკითხავია უპირველეს ყოვლისა ისიც, რა პირობებში იქნება საქართველოს ევროპის საერთო ბაზარში შესვლის საკითხის დასმა შესაძლებელი? აქამდე პოლიტიკოსები ლაპარაკობდნენ ევოლუციურად, საბჭოთა კავშირის, როგორც ერთიანი სტრუქტურის დაახლოებაზე ევროპის ბაზართან. შემდეგ ნელ-ნელა გამოიკვეთა ალტერნატივა, საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნების ერთიანი ბლოკების სახით დაახლოება ევროპასთან: მაგ. ჯერ იყო მცდელობა ბალტიისპირეთის კავშირის ჩამოყალიბებისა, შემდეგ აღმოსავლეთ-ცენტრალური ქვეყნების გაერთიანებისა ბალტიისპირეთ-ბელორუსია-უკრაინის კავშირის სახით. ალბათ ანალოგია უნდა ვეძებოთ კავკასიის ბლოკის (კავშირის, საერთო სახლის...) იდეაში. მაგრამ უპირველეს ყოვლისა უნდა დავსვათ კითხვა, რა წანამძღვრები შეიძლება ჰქონდეს ასეთ ბლოკს? რამდენად აუცილებელი და საკმარისი პირობაა საამისოდ საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიულობა? ალბათ, ყოველივე ამაზე მსჯელობა იმის გაუანალიზებლად თუ რა ძალები მოქმედებენ კავკასიაში, გაუმართლებელია. საერთოდ რა აუცილებლობა არსებობს, რომ საქართველო, ან კავკასია შევიდეს საერთო ევროპულ ბაზარში? ამასაც ხომ განსჯა სჭირდება. რომც განვსაჯოთ ასეთი საჭიროების არსებობა, ქართველ ხალხს, სხვა კავკასიელებს ხომ უნდა ვკითხოთ? განა შეიძლება კავკასიის რომელიმე ერმა წარმატებით აწარმოოს პოლიტიკა კავკასიის სხვა ერთა მისწრაფებების გაუთვალისწინებლად?

წერილში ავტორი საუბრობს ფსიქო-ისტორიულ წანამძღვრებზე. წერილში მოხსენიებული ფედერალიზმის იდეა ამ მხრივ შეიძლება მაგალითად ვიგულისხმოთ, თუ განვავითარებთ მსჯელობას მასზე, როგორც ფსიქო-ისტორიულ წანამძღვარზე. ფედერალიზმის საკითხი თანამედროვეთა შორის წამოჭრა ბ-ნ ირაკლი შენგელაიამ. ტრადიციულ ფასეულობათა და ფედერალიზმის პრინციპების გათვალისწინებით კავკასიაში ურთიერთობათა განვითარების ჰიპოთეტური მოდელი იყო წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის კავკასიისა და საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ 1990 წლის ზაფხულში „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნებულ წერილში „კავკასიელთა ერთობისათვის“. მაგრამ ეს ყოველივე არაა საკმარისი. ეს საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს. შესაძლოა ეს იყოს საბოლოო ჯამში სათემო ფედერალიზმის საკითხი, ანუ საქართველოსთვისა და კავკასიისთვის ტრადიციული სამეურნეო-პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენის საკითხი. ამ მიმართებით თითქოს პირველი ნაბიჯებიც გადაიდგა. ვგულისხმობ საქართველოში ადგილობრივი მმართველობის პირველ დონეს, სოფლის (დაბის, თემის), რაიონული დაქვემდებარების ქალაქისა და ქალაქის რაიონის ადგილობრივი მმართველობის შესაბამის სტრუქტურებს, საკრებულოებს. ადგილობრივი მმართველობის პირველი დონის საკრებულოთა როლი ბუნებრივი იქნება, რომ მომავალში გაიზარდოს, რათა ამ საკრებულოებზე დაყრდნობით უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების კვალიფიციური უმრავლესობა დაკომპლექტდეს რეგიონული წარმომადგენლობით.

წერილის დასაწყისი, ანუ ის ნაწილი, სადაც საუბარია ტრადიციათა მნიშვნელობაზე, ჩემთვის აქსიომურად მისაღებია, მაგრამ უფრო მეტ საბუთიანობას კი საჭიროებს. ჩემი მხრივ ეს შემიძლია დავსძინო, რომ ფსიქო-ისტორიულ წანამძღვრებზე, ერის რაობაზე საუბრისას უნდა ვილაპარაკოთ ტრადიციათა მთლიან ჯაჭვზე. უნდა დავინტერესდეთ ფესვებით, ძირის-ძირით, რამეთუ ესა თუ ის ტრადიცია შეძლება არც იყოს ჩვენი სისხლხორცეული და სხვისგან იყოს ძალად თავს მოხვეული. მაგალითად, ბოლშევიკური ყოფის ის ტრადიცია, რომელიც წითელი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდგომ გაბატონდა ჩვენში და სხვაც მრავალი... ასე რომ ძირისძირის, იმ ფესვის მოძიებაა მთავარი, რომელსაც დაემყნო შემდგომ ყოველი ტრადიცია. თუ განვავითარებთ ამ მსჯელობას მედიტერანული რასის თუ გნებავთ იბერიულ-კავკასიური განშტოების მსოფლმიმართებლივ ძირებამდე მივალთ (იხ. ზ. გამსახურდიას „საქართველოს სულიერი მისია“). ახლა გავაკეთოთ უკუსვლა და ორიოდე სიტყვით მოვყვეთ... რამდენად სისტემურია ჩვენი ორიენტირი. რასაში იგულისხმება რომელიმე მოდგმის (ან მოდგმათა) ადამიანების სულიერი ერთობა, სამყაროსადმი ერთიანი სულიერი მსოფლმიმართების მქონე ადამიანების ერთობა. რასაში ადგილ-გარემოს, ანუ როგორც ჩვენში იტყვიან, ადგილის დედის მიხედვით ყალიბდება ერი. ერში მსოფლმხედველობრივად კონკრეტდება საერთო მსოფლმიმართება. ერში ერის ტრადიციის დამცველი პიროვნებები იცავენ ერის მეობას, თავისთავადობას, თავისუფლებას. თუ ეს პიროვნებები უცხო მსოფლმიმართებაზე ამოზრდილ ტრადიციებს დაამკვიდრებენ ერში, ერი გადაგვარდება. იქცევა უცხო ფესვზე დამყნობილ ტოტად, რაც ფიზიკური განადგურების ტოლფასია. ასე რომ, ტრადიციათა გამოძიება უაღრესად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო რამაა და იგი პრეისტორიული ეპოქიდან უნდა დავიწყოთ.

რაც შეეხება საზრისს, ის შესაბამისია მსოფლმიმართებისა და მისგან მომდინარე მსოფლმხედველობისა. ესა თუ ის საზრისი, ესა თუ ის რელიგია, იდეოლოგია, ამა თუ იმ რასის კუთვნილ მსოფლმიმართებაზე ამოიზრდება და კონკრეტულ ვითარებაში იძენს ამა თუ იმ რასის კუთვნილი მსოფლმიმართების შესაბამის ინტერპრეტაციას, რაც კონკრეტდება ეროვნული ინტერპრეტაციით, ხოლო თუ გადაძალა შემოსულმა იდეოლოგიამ, რელიგიამ, ტრადიციამ, მაშინ, როგორც უკვე ვთქვი, ერი გადაგვარდება. ერის ეთნო-ფსიქიკის რაობა ამ მთლიანი სისტემით განისაზღვრება და არა ერთი რომელიმე ტრადიციით.

ყოველივე ეს იმ რიგის საკითხებია, რომლებიც მოითხოვენ საფუძვლიან, მასშტაბურ კვლევას, ძიებას მეცნიერულ დონეზე. საგაზეთო წერილი მათ ვერ გასწვდება, მხოლოდ საკითხის დასმას თუ მოვახერხებთ, თუმც ეგეც უდავოა, რომ აქაც საჭიროა ობიექტურობა და პროფესიონალიზმი.

**ბესო ზოჭორიშვილი**
18. II. 1991.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „მუხის ფოთოლი“ ანუ ახლა თქვენ იცით, ბიჭებო!

დღეს ჩოგბურთის ქართველი გულშემატკივარნი ამ დიდებული თამაშის ხილვით არც ისე განებივრებულნი არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეჯიბრების ჩატარებისას მაყურებლის სიუხვითაც მაინც ვერ დავიტრაბახებთ.

ახლახან ვაკის პარკის კორტები რამდენიმე დღის განმავლობაში მასპინძლობდა უჩვეულო ტურნირს. მიუხედავად მისი მცირედი ტრიბუნებისა, თამაშის მოყვარულნი მრავლად მოვიდნენ აქ და არაერთი საინტერესო შეხვედრის მოწმენი გახდნენ. ტურნირის უჩვეულობა შემდეგი გარემოებით აიხსნებოდა: საჩოგბურთო კლუბის „მუხის ფოთოლის“ პრეზიდენტმა, ბატონმა გოგი გახოკიძემ დააწესა ამავე სახელწოდების პრიზი, რომლის მთავარი მიზანიც იმ სპორტსმენთა დაბრუნებას ისახავდა, სხვადასხვა მიზეზების გამო ნაადრევად რომ მიატოვეს აქტიური სპორტი. ჩოგბურთის თაყვანისმცემლებმა კორტებზე კვლავ იხილეს სხვადასხვა ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულები და პრიზიორები: გია კუპრეიშვილი, ლევან რაზმაძე, მიხეილ კუპრავა, მიხეილ გაბრიჩიძე, დავით ისლამოვი, ნიკა გულიაშვილი, ნიკა იმნაძე, ირაკლი გაგოშიძე და სხვანი, რომელთა საშუალო ასაკი 25 წელი იყო.

მომავალში არაა გამორიცხული ამ ტურნირში მონაწილეობა მიიღოს როგორც ყველა ჟიულიერესმა ვაჟმა, ისევე ქალმაც. იქნებ სხვა რესპუბლიკებიდანაც მოვიწვიოთ ძლიერი ჩოგბურთელები?

ასე თუ ისე, ტურნირი ჩატარდა და პირველი გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ. როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა თანრიგში პირველობა არავის დაუთმო 20 წლის გია კუპრეიშვილმა. იგი ერთეულთა ფინალში შეხვდა ლევან რაზმაძეს, რომელმაც მას ძალისმიერი თამაში დაუპირისპირა. გიამ მეტოქეს ტექნიკური და გააზრებული თამაში შესთავაზა და გაიმარჯვა კიდეც — 7:6, 6:4. მესამე საპრიზო ადგილისათვის მიხეილ კუპრავამ სამ სეტში სძლია დავით ისლამოვს — 6:2, 4:6, 6:4.

წყვილთა თანრიგში გია კუპრეიშვილმა თავის უფროს ძმასთან ალექსანდრესთან ერთად დაამარცხა იმნაძე-ისლამოვის „დუეტი“ — 6:1, 6:1. ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაადრევი იყო მისი წასვლა აქტიური სპორტიდან. გია კუპრეიშვილს და მიხეილ კუპრავას ვთხოვეთ, ორიოდე სიტყვა ეთქვათ ჩვენი მკითხველებისათვის:

**— რა ასაკში ჩამოხცილდით აქტიურ სპორტს და რა იყო ამის მიზეზი?**

**კუპრეიშვილი:** — ორი წლის წინ დავანებე თავი გამოსვლას ჩვენს სპორტში შექმნილი „ამინდის“ გამო. ვერ ვხედავდი ვერავითარ პერსპექტივას და...

**კუპრავა:** ვეთანხმები გიას, იმ დროს მეც გული ამიცრუვდა ვარჯიშზე. რომ იტყვიან, მარტო საკუთარი ენთუზიაზმით წინ ვერ წავიდოდი.

**—ტურნირი დამთავრდა, ალბათ, დაიწყო ახალი „ერა“ თქვენს ცხოვრებაში — რა გეგმები გაქვთ დასახული მომავალში?**

**კუპრეიშვილი:** — ორი წლის შესვენების შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა და დღეს სულ სხვა თვალით ვუყურებ ცხოვრებას. ტურნირმა თვალნათლივ დამანახა ჩემი შესაძლებლობა და, წარმოიდგინეთ, მომავლის იმედის ნაპერწკალი ჩამისახა. გადავწყვიტე მომავალ შეჯიბრებებში „მუხის ფოთლის“ კლუბის სახელით ვიასპარეზო. მასთან მე კონტრაქტს გავაფორმებ, მერე კი ვნახოთ...

**კუპრავა:** ვიგრძენი ჩემში თამაშისადმი ინტერესი და ექვსი წლის შემდეგ საკუთარ თავში დავრწმუნდი, მართლაც ნაადრევად დამიტოვებია ჩოგბურთის კორტები. ტურნირმა შესაძლებლობა მომცა კიდევ ერთხელ დავბრუნებულიყავი საყვარელი ჩოგბურთის სამყაროში. მომავალში მეც გიასავით ანალოგიური გეგმები მაქვს.

ტურნირი კომერციული იყო — ყველა მონაწილემ, შედეგის მიუხედავად, მიიღო დაწესებული პრიზები. თითოეულმა ჩოგბურთელმა „მუხის ფოთოლთან“ დადო კონტრაქტი შემდგომში მასთან სპორტულ თანამშრომლობაზე.

**რამინ ყურაშვილი**

**სურათზე:** ასპარეზობის მომენტი.

**ალექსანდრე კოტორაშვილის** ფოტო.

# მემატიანე

— ბატონო დიმიტრი, იცით, რომ საოცრად გავხართ ლადო გუდიაშვილს?

ჩემს თანამოსაუბრეს ეღიმება.

— ამ მსგავსების გამო კურიოზული შემთხვევებიც მქონია. მახსოვს, პიონერთა სასახლეში ერთ-ერთი ღონისძიების დროს მიკროფონში გამოაცხადეს: ბატონ ლადო გუდიაშვილს ვთხოვთ სცენაზე ამობრძანდესო. ვიცოდი, რომ ბატონი ლადო იქ არ იყო და მივხვდი, ჩემმა გარეგნობამ შეიყვანა შეცდომაში მასპინძლები... ერთხელ, ფინანსთა სამინისტროში მოწყობილი მხატვრის გამოფენის გახსნის დღეს, შენობის შესასვლელთან ახალგაზრდების ჯგუფი შემომეხვია და ავტოგრაფი მთხოვა...

დიმიტრი მძინარიშვილზე საუბარი შემთხვევით არ დავიწყეთ მისი გარეგნობით. თმადათოვლილი, ახოვანი, დახვეწილი ქართული იერისა და მიხვრა-მოხვრის ინტელიგენტი უპირველესად სწორედ გარეგნობით იპყრობს ყურადღებას. მის მიერ 1936 წლიდან სხვადასხვა ფილმებში შესრულებული ეპიზოდური როლების დასახელებაც კი საკმარისია იმის გასაგებად, თუ რა ხიბლავდათ ამ პიროვნებაში ქართული კინოხელოვნების მესვეურთ. „ქაჯეთი“ — ქართველი მხედარი, „მაგდანას ლურჯა“ — არისტოკრატი, „ეთერის სიმღერა“ — არისტოკრატი, „ჩვენი ეზო“ — ექიმი, „ეს სიზმაა“ — ქართველი საზოგადო მოღვაწე, „თბილისი 1500 წლისაა“ — ინტელიგენტი, „აღბეჭდილი აზრი“ — მეცნიერი, „მარინა“ — მეზღვაური ოფიცერი (დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდია), ოპერის თეატრის მთავარი დირიჟორი საქართველოს სატელევიზიო სტუდიის ფილმში „ჰობოი“. მემატიანის დასამახსოვრებელ სახეს ფილმში „დიდოსტატის მარჯვენა“ საგანგებოდ ალვნიშნავ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენს გმირს განსაკუთრებული ურთიერთობა აკავშირებდა დიდოსტატთან, ჩემი აზრით, ბატონი დიმიტრის ეს ნამუშევარი ნიშანდობლივია მისი პიროვნებისათვის, მოწოდებისა, და თუ გნებავთ, დანიშნულებისათვის ქართული კულტურის ხამოღვაწეო ასპარეზზე. რამდენიმე მუზის მსახურმა (მუსიკა, თეატრი, კინო) კერპად ფოტო-ჟურნალისტიკა ირჩია, მასში ჩააქსოვა თავისი სათქმელი და თავად მოგვევლინა არცთუ ისე შორეულ, მაგრამ გარდასულ დღეთა მემატიანედ, „შეჩერებული წამების“ დიდოსტატად. ამის დასტური იყო რამდენიმე წლის წინ, ხელოვნების მუშაკთა სახლში მოწყობილი ფოტო-ხელოვანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, რომელზეც დახვეწილი მხატვრული გემოვნებით, აკადემიურ მანერაში შესრულებული ფოტოებიდან იმზირებოდნენ ნაცნობი, ძვირფასი და შთამბეჭდავი სახეები: ვასილ ამაშუკელი, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ვასო გოძიაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თამარ იმნაიშვილი, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მედეა ჯაფარიძე, ნანი ბრეგვაძე და სხვანი. თვით შთაბეჭდილებათა წიგნში დაფიქსირებული ჩანაწერებიც კი, რომელთა ავტორები არიან ჩვენი ერის სახელოვანი წარმომადგენლები, უკვე ისტორიად იქცა. გავიხსენოთ ერთი მათგანი: „ბ-ნო დიმიტრი! ჯერ ერთი, გმადლობთ იმისათვის, რომ არ ვიცოდი, თურმე, რა ლამაზი ქალი ყოფილვარ. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩემ წინ იდექით პატარა აპარატით დიდი ოსტატი! იხარეთ და იდღეგრძელეთ! სესილია თაყაიშვილი“.

დიმიტრი მძინარიშვილი ჭეშმარიტი ფოტომემატიანეა, რომელმაც თავისი საქმე აკეთა — მოკრძალებული, მაგრამ ნაღდი და საშვილიშვილო. მან მომავალ თაობებს შემოუნახა შესანიშნავ ქართველ მოღვაწეთა ხატება მათთვის ჩვეულ, ყოველდღიურ გარემოცვაში. ეს გარემოცვაც ყველა შემთხვევაში ზუსტადაა მიგნებული, პიროვნების ხასიათში „ზის“. ამიტომაც გვეჩვენება ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ეს ნამუშევრები. ხშირად ფოტო-გმირები პოზიორობენ და ოსტატი არც ცდილობს შენიღბოს ობიექტივი ყალბი უნდობლობით, ან ე. წ. „ფარული კადრებით“. ჩემის აზრით, სწორედ ამაშია მძინარიშვილისეული აკადემიზმის მომხიბვლელობა. და თუ მაშინ, როცა ფოტოაპარატი „ჩხაკუნობდა“, შესაძლოა არც სათაყვანო „ნატურას“ და არც თვით ბატონ დიმიტრის არ ჰქონდა ბოლომდე გააზრებული იმ წამთა სიძვირფასე, დღეს რომ მარადისობაში გარდასული უკვდავებაა.

ბევრ ქართულ ოჯახში მინახავს ჩვენი დიდი ბატონის კონსტანტინეს ფოტოები, ჩოხითა და ქამარ-ხანჯლით დამშვენებული რომ გადაჰყურებს მტკვრისა და არაგვის შესართავს, ან სვეტიცხოვლის ეზოში დაბრძანებული ამაყად მზირალი. დიახ, ისინი დიმიტრი მძინარიშვილის ნამუშევრებია. სჯობს, თავად ავტორს მოვუსმინოთ: „ბატონი კონსტანტინე 1963 წელს გავიცანი. მაშინ სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიაში ვმუშაობდი სურათის (ფილმის) დირექტორად. ვიღებდით ფილმს კონსტანტინე გამსახურდიაზე. საჭირო იყო მოლაპარაკება და თანხმობის მიღება ბატონ კონსტანტინესაგან. ვერავინ ბედავდა მასთან მისვლას რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, მოსალოდნელი იყო უარი, გარდა ამისა, მოგეხსენებათ, როგორ ტუქსავდა იგი ქართული ენის შემბღალავთ. წინასწარ ვიცოდით, რომ მასთან საუბარი საკმაოდ რთული იქნებოდა. დღესავით მახსოვს მაშინდელი განცდები. ვღელავდი სასიამოვნო შეხვედრის მოლოდინში. გავბედე და დავურეკე. შევთანხმდით. 15 წუთით ადრე მივედი და ჭიშკართან ვიცდიდი. ზუსტად დათქმულ დროზე დავრეკე. ძალიან მინდოდა, რომ მოვწონებოდი და ვცდილობდი ეტიკეტი დამეცვა. მერწმუნეთ, ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია კონსტანტინე გამსახურდიასთან, შეუძლებელია არ შეეგრძნო რაღაც მაგიური ძალა სიდიადისა, რასაც მისი პიროვნება ასხივებდა. უკვე კოლხურ კოშკში დამებადა იდეა ფილმის გადაღების დროს ფოტო-ფირზე აღმებეჭდა იგი. ვიცოდი, ასეთი შესაძლებლობა აღარ მექნებოდა. ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ურთიერთობას“.

საგულისხმოა თვით ბატონ კონსტანტინეს აზრი დიმიტრი მძინარიშვილის შემოქმედების შესახებ: „ასეთი სურათი ჩემთვის ჯერ არავის გადაუღიაო“, — უბრძანებია დიდოსტატს ერთ მათგანზე და გადაუწყვეტია თავის ნაწარმოებთა რუსული გამოცემა სწორედ ამ ფოტოთი დაემშვენებინა:

1983 წ. გამომცემლობა „ხელოვნებამ“ კონსტანტინე გამსახურდიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოუშვა ფოტო-ალბომი, რომლის ავტორ-შემდგენელი დიმიტრი მძინარიშვილია. ამ გამოცემაში შევიდა უნიკალური ფოტო-მასალა.

რამდენიმე ათეული წლის მეგობრობა აკავშირებდა ფოტოჟურნალისტს ბატონ ლადო გუდიაშვილთან.

კვლავ დიმიტრი მძინარიშვილს მოვუსმინოთ. „ერთმანეთი მისმა მეუღლემ გაგვაცნო (მე და ქალბატონი ნინო 1925-27 წლებში ერთად ვმოღვაწეობდით დავით კობახიძის თეატრალურ სტუდიაში), ყოველთვის მხიბლავდა ლადო გუდიაშვილის არტისტული ნატურა. რადგან გუდიაშვილების ხშირი სტუმარი ვიყავი, ვცდილობდი აღმენუსხა ყველა ღირსშესანიშნავი მოვლენა, რაც დიდ მხატვარს შეეხებოდა“. ამის დასტურია 1989 წ. გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ დაბეჭდილი ფოტო-ალბომი, რომლის შემდგენელი დ. მძინარიშვილი, ხოლო ტექსტის ავტორი აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძეა. დ. მძინარიშვილის ავტორობით გამოიცა აგრეთვე 1979 წ. ფოტობუკლეტი ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით „ჩვენი ბედნიერება და მომავალი“ და 1985 წელს, ფოტობუკლეტი აკადემიკოს ქსენია ბახტაძის 85 წლისთავთან დაკავშირებით.

ბატონმა დიმიტრიმ წლების მანძილზე შექმნილი ფოტოები ნეგატივებითურთ უსასყიდლოდ გადასცა ცენტრალური არქივის ფოტო-კინო ფონდს, რითაც საშუალება მისცა დაინტერესებულ პირებს ისარგებლონ ქართველ მეცნიერთა, მწერალთა, ხელოვანთა, საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი უნიკალური ფოტო-კადრებით, ხოლო თავისი განუყრელი ფოტოინსტრუმენტები მოსწავლეთა სასახლის ნორჩ ფოტომოყვარულთა სტუდიას უსახსოვრა.

82 წლის მემატიანემ ლადო გუდიაშვილის ფოტოალბომის გამოშვებით დაამთავრა მოღვაწეობა ხელოვნებაში, ასაკი აღარ აძლევს საშუალებას კვლავ განაგრძოს მუშაობა

მაინც ვეკითხები:

— ბატონო დიმიტრი, ახლა რომ საშუალება გქონდეთ...

უყოყმანოდ მპასუხობს:

— ლიანა ისაკაძეს მივუძღვნიდი ფოტო-ალბომს, მე ხომ ბავშვობიდან ვუღებდი მას სურათებს, პეტრე სარაჯიშვილის ფოტობუკლეტს შევადგენდი და... ყველა ლამაზ ქართველ ქალს აღვბეჭდავდი ფოტოზე.

ვინ იცის, იქნებ?..

**ლია ბუაძე**
**ხელოვნებათმცოდნე**

P. S. დიმიტრი მძინარიშვილი დღესაც გაზეთ „სამშობლოს“ ფოტოკორესპონდენტია

## ინფორმაცია

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის — „დემოკრატიული ცენტრის“ სხდომის შესახებ**

გაიმართა „დემოკრატიული ცენტრის“ მორიგი სხდომა, სადაც განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხები. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოდარ ნათაძე, თანათავმჯდომარედ — რომან გოცირიძე, მდივნად — ანზორ სიჭინავა. ჩამოყალიბდა ფრაქციის სამუშაო სტრუქტურები და აირჩიეს კომისიათა თავმჯდომარეები შემდეგი შემადგენლობით:

პოლიტიკური კომისია — დავით ბერძენიშვილი

იურიდიული კომისია — თედო ნინიძე

ჰუმანიტარულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია — ელდარ შენგელაია

აგრარული კომისია — პაატა კოღუაშვილი

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კომისია — თამაზ დიასამიძე

ეკონომიკის კომისია — რომან გოცირიძე.

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისია — გივი ლობჟანიძე

თავდაცვის კომისია— აკაკი ბობოხიძე

**„დემოკრატიული ცენტრის“ სამდივნო**

## განცხადება

1991 წლის 14 ივნისს, პარასკევს, ეროვნული ფორუმის შენობაში (რუსთაველის 29) გაიმართება საქართველოს ეროვნული კონგრესის V სესია.

**დღის წესრიგი:**

1. პოლიტიკური ვითარება საქართველოში და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტაქტიკის საკითხები;
2. საქართველოს ეროვნული კონგრესის საგარეო პოლიტიკის შესახებ;
3. ორგანიზაციული საკითხები.

კონგრესის წევრთა რეგისტრაცია დაიწყება 10 სთ-ზე. სესიის დასაწყისი 11.00 საათზე.

**საქართველოს ეროვნული კონგრესის პრეზიდიუმი**

განცხადებები

## გონიოს სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო კოოპერაციული ინსტიტუტი აცხადებს

მიღებას შემდეგ სპეციალობაზე: ქართული ენის, ლიტერატურის და მხატვრული თარგმანის; ქართული ენისა და ლიტერატურის, თურქული ენის, ლიტერატურისა და თარჯიმნის, რუსული ენის, ლიტერატურისა და ტურიზმის, უცხო ენების: გერმანული, ფრანგული, ინგლისური და საერთაშორისო ურთიერთობის კურატორის, ისტორიის და მხარეთმცოდნეობის ტურიზმის; მათემატიკისა და კოოპერაციული წარმოების ინფორმატიკის; ანალიზური ქიმიისა და კოოპერაციის; ეკონომიკის მართვისა და სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერაციის; საბუღალტრო აღრიცხვის და სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერაციის; აგრონომიისა და კოოპერაციის; სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიისა და კოოპერაციის; პედაგოგიკა და მოსწავლეთა საწარმოო კოოპერაციის და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე.

კოოპერაციულ ინსტიტუტში შემსვლელები გამოსაცდელ მეცადინეობებს გაივლიან:

ქართული ენის, ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის ფაკულტეტზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში;

ქართული ენის, ლიტერატურის, თურქული ენის ლიტერატურის და თარჯიმნის ფაკულტეტზე: ქართულ და თურქულ ენაში;

რუსული ენის, ლიტერატურისა და ტურიზმის ფაკულტეტზე რუსულ ლიტერატურასა და უცხო ენაში.

უცხო ენების და საერთაშორისო ურთიერთობის კურატორის ფაკულტეტზე — გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და ქართულ ენაში;

ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის ტურიზმის ფაკულტეტზე: საქართველოს ისტორიასა და ქართულ ენაში;

მათემატიკისა და კოოპერაციული წარმოების ინფორმატიკის, ეკონომიკის, მართვისა და სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერაციისა, საბუღალტრო აღრიცხვის და სოფლის მეურნეობის წარმოების კოოპერაციის ფაკულტეტებზე მათემატიკაში და ქართულ ენაში.

აგრონომიისა და კოოპერაციის, ანალიზური ქიმიისა და კოოპერაციის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიისა და კოოპერაციის ფაკულტეტებზე: ფიზიკაში, ქიმიაში და ქართულ ენაში.

პედაგოგიკისა და მოსწავლეთა საწარმოო კოოპერაციის ფაკულტეტზე — ბოტანიკაში და ქართულ ენაში.

კოოპერაციულ ინსტიტუტში აბიტურიენტთა შერჩევის განსხვავებული წესებია შემოღებული. სპეციალურ საგანში ეწყობა ერთთვიანი გამოსაცდელი მეცადინეობა. მისი მიზანია: შრომისმოყვარე, ნიჭიერი, სწავლისუნარიანი აბიტურიენტის გამოვლინება. სწორედ ამ მოთხოვნების მიხედვით დაიწერება შეფასება. თუ აბიტურიენტი ასეთ პირობებში სპეციალურ საგანში მიიღებს კარგს და ფრიადს, იგი გახდება სტუდენტი.

სწავლის დაწყებამდე (გამოსაცდელ პერიოდში) აბიტურიენტს არჩეულ სპეციალობაში ეძლევა 30-მდე საკითხი. აბიტურიენტი გამომცდელს აბარებს შესაბამის საგანს და ათვისების დონეში აგროვებს ქულებს. დაბალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე აბიტურიენტი ვერ ჩაირიცხება.

აბიტურიენტის აკადემიური დონის შემოწმების შემდეგ ინსტიტუტსა და დამკვეთს შორის ფორმდება შრომის ხელშეკრულება. ხელშეკრულების ვალდებულებებს აქვს იურიდიული ძალა და მის შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარეს.

კოოპერაციულ ინსტიტუტში მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება;
2. წარმოებიდან მომართვა;
3. საშუალო სკოლის, ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა (დედანი);
4. ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 086 (უ);
5. შრომის წიგნაკის ამონაწერი (თუ მუშაობს);
6. დახასიათება — რეკომენდაცია სამუშაო ადგილიდან;
7. ექვსი ფოტოსურათი (3X4).

იმის გამო, რომ ხულოსა და შუახევის რაიონებში ნაკლებადაა უმაღლესი განათლების სპეციალისტები, ამ რაიონებიდან რეკომენდაციის საფუძველზე, კოოპერაციულ ინსტიტუტში 25 აბიტურიენტი ჩაირიცხება სწავლის ქირის გარეშე, ხოლო 25 აბიტურიენტს ჩარიცხვის შემდეგ სწავლის ქირა შეუმცირდება 50%-ით.

ინსტიტუტში სწავლა ფასიანია. სტუდენტის სწავლის საფასური წელიწადში 4120 მანეთია (ეს საფასური ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შესაბამისად ცვალებადია). მას სტუდენტის ოჯახი იხდის სემესტრის მიხედვით. სწავლების ღირებულების გადახდა შეიძლება საწარმოების ორგანიზაციებისა და სხვა იურიდიული პირების მიერ გადარიცხვის წესითაც.

სასწავლო წლის შედეგების მიხედვით არადამაკმაყოფილებელი შეფასების მქონე სტუდენტები გაირიცხებიან ინსტიტუტიდან და მათ შეტანილი სწავლების საფასური არ დაუბრუნდებათ. თუ ასეთი კატეგორიის სტუდენტი გამოთქვამს სურვილს თავიდან გაიაროს სწავლების იგივე კურსი, იგი განმეორებით იხდის სწავლის ქირის ოდენობის ნახევარს.

საბუთების მიღება 1991-92 სასწავლო წლისათვის დაიწყება მ/წლის 20 ივნისიდან და გაგრძელდება 20 ივლისამდე. მოსაცდელი მეცადინეობა დაიწყება 21 ივლისიდან და დამთავრდება 21 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი. ჰინჭარაძის ქ. № 19. (გარდა კვირისა) დილის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე. დაწვრილებით ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

**მიმღები კომისია**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ხელმძღვანელობა გატყობინებთ, რომ წელს, პირველად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯში იწარმოებს აბიტურიენტთა მიღება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საწარმოებისათვის უმაღლესი ტექნიკური განათლების ეროვნული კადრების მოსამზადებლად.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იწარმოებს აბიტურიენტთა მიღება შემდეგ სპეციალობებზე:

1. 13.03.01. „საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია".
სპეციალისტის კვალიფიკაცია „ინჟინერ-მექანიკოსი".
2. 13.03.09. „საფრენი აპარატების და ძრავების საფრენოსნო ექსპლუატაცია".
სპეციალისტი კვალიფიკაცია „ინჟინერ-პილოტი".

თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯში იწარმოებს აბიტურიენტთა მიღება შემდეგ სპეციალობებზე:

1. 13.03. „საფრენი აპარატების და ძრავების ტექნიკური ექსპლუატაცია".
სპეციალისტის კვალიფიკაცია „უმცროსი ინჟინერი".
2. 23.04. „საფრენი აპარატების რადიოელექტრომოწყობილობის ტექნიკური ექსპლუატაცია".
სპეციალისტის კვალიფიკაცია „უმცროსი ინჟინერი".

დაწვრილებითი ცნობები გამოცხადდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და მანქანათმშენებლობის კოლეჯის ადმინისტრაციების მიერ და ტელევიზიის საშუალებით.

ცნობებისათვის აგრეთვე შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე:

ქ. თბილისი. აეროპორტი. სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი.
ტელ: 41-61-57, 41-74-52.

ავტ. ექსპრესი № 200, 208 და მეტრო სამგორიდან გაჩერება კინოთეატრი „აეროპორტი".

**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო**

## საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო

**აცხადებს მიღებას უმაღლეს და სპეციალურ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1991 წელს.**

**უმაღლესი სასწავლებლები:**

**1. კიევის სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო ინსტიტუტი ამზადებს:**
— ინჟინერ-მფრინავებს;
— ძრავების და თვითმფრინავების ტექნიკური ექსპლოატაციის ინჟინრებს;
— საავიაციო ელექტრო და საფრენოსნო მოწყობილობათა კომპლექსის ტექნიკური ექსპლოატაციის ინჟინრებს;
— ელექტრო გამომთვლელი მანქანების სისტემის ინჟინრებს;
— ავტომატიური სისტემების მართვისა და ინფორმაციების ინჟინრებს;
— სატრანსპორტო საშუალებათა რადიომოწყობილობის ტექნიკური ექსპლოატაციის ინჟინრებს;
— ტრანსპორტის მართვის და ეკონომიკის ორგანიზაციის ინჟინრებს;
— აეროპორტების ავტომატიზაციის და მექანიზაციის საშუალებათა შეკეთებისა და ექსპლოატაციის ინჟინრებს.

**2. აქტიუბინსკის უმაღლესი საფრენოსნო სასწავლებელი** ამზადებს:
— ინჟინერ-მფრინავებს.

**3. პირველად წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აწარმოებს მიღებას** შემდეგ სპეციალობებზე:
— ინჟინერ-მფრინავი;
— ძრავებისა და თვითმფრინავების ტექნიკური ექსპლოატაციის ინჟინერი.

**სპეციალურ-ტექნიკური სასწავლებლები:**

ამზადებენ ძრავებისა და თვითმფრინავების ტექნიკური ექსპლოატაციის, მგზავრთა მომსახურების, რადიო-ელექტრო მოწყობილობათა, რადიო-ლოკაციური სისტემების, საწვავ-საცხები მასალების ტრანსპორტირების და შენახვის სპეციალისტებს და სხვა.

ტექნიკური სასწავლებლები იმყოფებიან: ქ. ეგორევსკში, კირსანოვოში, სლავიანსკში, მინსკში, რილსკში, ვიბორგში.

**პირველად წელს თბილისის მანქანათმშენებლობის კოლეჯი აცხადებს მიღებას:** სამოქალაქო ავიაციის ავიატექნიკოსთა მოსამზადებელ განყოფილებაზე.

განცხადებების მიღება, სამედიცინო შემოწმება, გამოცდები და ჩარიცხვა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში იწარმოებს ადგილზე ქ. თბილისში.

ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას:

მისამართი: 380058, ქ. თბილისი, აეროპორტი, სასწავლო ცენტრი ან სამმართველოს კადრების განყოფილება.

ტელეფონები: 41-61-57, 41-75-26, 41-24-54.

**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო**

## ქ. თბილისის № 75 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის 11 კლასდამთავრებულთათვის.**

მინის დამფორმებელი მანქანის მემანქანე (ქართული სექტორი);

ბავშვთა კვების მზარეული (ქართული სექტორი);

სწავლების ვადა ერთი წელია 9 კლასდამთავრებულთათვის:

პურის მცხობელი, ცომის მზელავი (ქართული და რუსული სექტორები);

კონდიტერი (ქართული სექტორი);

კვების საწარმოო მანქანა-დანადგარების გამმართველი (ქართული სექტორი);

ბავშვთა კვების მზარეული (ქართული სექტორი).

სწავლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მიიღებენ დიპლომს საშუალო განათლებისა და პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

პროფტექნიკური ჯგუფის მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით, საწარმოო სწავლების პერიოდში გამომუშავებული თანხის 50%-ით, ხოლო ტექნიკური ჯგუფის მოსწავლეებს, ვინც ჩაირიცხა სასწავლებელში საშუალო სკოლის 11 კლასის დამთავრების შემდეგ, მიეცემათ საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50% და სტიპენდია 70 მანეთი.

მოსწავლეები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ს/გ თბილპურის ობიექტებზე და ავსტრია-საქართველოს ერთობლივი ფირმის ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „მეტეხი-პალას" ობიექტზე.

კურსდამთავრებული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან პროფესიის შესაბამისი სამუშაო ადგილით, საშუალო თვიური გამომუშავებაა 300-350 მანეთი თვეში.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი);
2. მოსწავლის პირადი საქმე;
3. დაბადების მოწმობა (დედანი);
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
5. 6 ცალი ფოტოსურათი 3/4;
6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

საბუთების მიღება ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა კვირისა.

სასწავლებლის მისამართია — გლდანის მასივი, ქერჩის შესახვევი № 3.

ტელეფონები: 67-56-81, 67-12-73, 67-13-15.

ტრანსპორტი — ავტობუსები: დიდუბიდან № 80, 24, მეტრო გურამიშვილის გამზირიდან № 24, გაჩერება — II კვარტალი, მილიციის უმაღლესი სკოლა.

**სასწავლებლის დირექცია**

## თბილისის სახალხო განათლების სამმართველო

**საქართველოს** რესპუბლიკაში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის შესაბამისად თბილისის განათლების სამმართველო 1991-92 სასწავლო წლისათვის აცხადებს მოსწავლეთა მიღებას თბილისის საღამოს პირველ, მე-4 და მე-5 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ექსპერიმენტულ მე-10 კლასებში, სადაც სწავლების ვადა ორწლიანია (მე-10 და მე-11 კლასები).

აღნიშნულ სკოლებში იხსნება როგორც დასწრებული, ასევე დაუსწრებელი მე-10 კლასები. მოსწავლეთა სამუშაოზე დასაქმება სავალდებულო არ არის.

ჩარიცხვა იწარმოებს კონკურსის საფუძველზე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 10-დან 20 ივნისამდე საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ინსტრუქციით გათვალისწინებულ საგნებში.

საღამოს პირველ, მე-4 და მე-5 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ექსპერიმენტულ მე-10 კლასებში სწავლის გაგრძელების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
2. არასრული საშუალო განათლების მოწმობა;
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
4. 2 ფოტოსურათი (3X4).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ საღამოს სკოლების დირექციებს: პირველი საშუალო სკოლა, ნაძალადევის რაიონი, ბუაჩიძის ქ. № 20. ტელეფონი: 62-84-69.

მე-4 საშუალო სკოლა, დიდუბის რაიონი, ვახუშტი ბაგრატიონის ქ. № 58, ტელეფონი: 34-12-74.

მე-5 საშუალო სკოლა, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას 6-ა, ტელეფონი: 37-34-30.

თბილისის სახალხო განათლების სამმართველო, ლერმონტოვის 8, ტელეფონები: 98-76-25; 93-22-23.

**მიხეილ მინდაძე,**
**თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსი,**
**ნიკოლოზ სოხელია,**
**ექსპერიმენტის ხელმძღვანელი.**

# წიგნი გაბრელ დიდოსტატზე

ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 60-იანი წლების დასაწყისის თბილისის „დინამო" ტალანტთა ჭეშმარიტ თავშესაყარს წარმოადგენდა, რასაც, პირველ ყოვლისა, ანდრო ჟორდანიას უტყუარ სელექციურ ალღოს უნდა ვუმადლოდეთ. ამ ტალანტთა საკრებულოში ვლადიმერ ბარქაია, უთუოდ ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურა გახლდათ.

სასიქადულო ქართველ სპორტსმენებზე არსებული ლიტერატურით, რა დასამალია, განებივრებულები არა ვართ. ამ ნაკლოვანების შევსების ერთ-ერთ მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს სპორტული ჟურნალისტის **შალვა ქირიას** წიგნი „ფეხბურთის სტრატეგი", რომელიც სახელგანთქმულ ქართველ ფეხბურთელს ვლადიმერ ბარქაიას ეძღვნება. ავტორი კიდევ ერთხელ გვახსენებს მის მიერ განვლილ სახელოვან სპორტულ ცხოვრებას, ხოლო ახალგაზრდა თაობას გააცნობს ქართული ფეხბურთის კიდევ ერთ სწორუპოვარ რაინდს, ნამდვილ დიდოსტატს.

სახელოვანი მწვრთნელი ანდრო ჟორდანია თავის წიგნში „ფიქრები ქართული ფეხბურთის შესახებ", წერდა: „ცენტრალური თავდამსხმელებიდან მე გამოვყოფდი ვლადიმერ ბარქაიას, შესანიშნავ მოთამაშეს, ძლიერს, როგორც ტექნიკურად, ისე ტაქტიკურად. აქვე, მინდა დავძინო, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატის ბორის პაიჭაძის შემდეგ ჩვენ ასეთი ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელი არ გვყოლია... ერთადერთი კაცი იყო, ვისაც შენიშვნას არ ვაძლევდი". მეორე გამოჩენილი ქართველი მწვრთნელი, რომელმაც არნახულ სიმაღლეებზე აიყვანა ქართული ფეხბურთი, ნოდარ ახალკაცი, ამბობს: „ვლადიმერ ბარქაია ისეთ ფეხბურთს თამაშობდა, როგორსაც ასი წლის შემდეგ ითამაშებენ." უფრო უკეთესი ქების მოსმენა, დამეთანხმებით, ძნელი იქნებოდა. ცნობილი მწვრთნელი, გავრილ კაჩალინი, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული თბილისის „დინამოს" ტრიუმფალური წარმატება 1964 წლის სეზონში, ამბობდა: „ვლადიმერ ბარქაია ერთადერთი ფეხბურთელია, რომელსაც მე არ ვბოჭავ ინდივიდუალური მითითებებით. ეს გონიერი სპორტსმენი ყველაფერს თვითონაც მშვენივრად აკეთებს. მას ჩინებული მოედნის ხედვა და ფართო დიაპაზონი გააჩნია".

ვლადიმერ ბარქაია ფეხბურთის ჭეშმარიტი სტრატეგი და ნამდვილი ესთეტი იყო. კომბინაციური ფეხბურთი მისი სტიქია იყო, ხოლო შეტევის ორგანიზაციის თვალსაზრისით ბარქაიას ბადალი არ ჰყავდა.

**მერაბ კალანდაძე.**

განცხადებები

# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა


TRANSPORT-TOURIST FIRM „GLOBUS“
TTF GLOBUS

## ფირმა „გლობუსი“
### თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ

სატრანსპორტო-ტურისტული ფირმა „გლობუსი“ მოქალაქეებს სთავაზობს მოგზაურობას თურქეთის რესპუბლიკაში მარშრუტებით: **თბილისი — ტრაპიზონი — სამსუნი — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობაა 5 დღე), **თბილისი — სტამბული — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობა 7 დღე).

ანგარიშსწორება წარმოებს, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „გლობუსს“ მისამართზე: **კანკავას ქ. №3 (საბჭოს ქ. 12-თან).**

**ტელ: 96-94-49.**

### კერძო ტაქსების საყურადღებოდ!

კოოპერატივი „სავანე“ იწვევს სამუშაოდ კერძო ტაქსების მძღოლებს. გადასახადი მინიმალურია — თვეში 30 მანეთი.

მისამართები:

**1) გლდანის რ-ნი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია. წითელი ჯიხური წარწერით „სავანე“.**

**2) ბუდაპეშტის ქუჩა № 1, საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“ შენობა. კოოპერატივი „სავანე“.**

### კოოპერატივ „არმაზი-88“-ის ხელისმომწერთა საყურადღებოდ!

12 ივნისიდან დაიწყება სხვადასხვა ავტორთა ათტომეულის პირველი წიგნის („ახალგაზრდა ცოლ-ქმრის ენციკლოპედია“) გაყიდვა. გაყიდვა იწარმოებს კოოპერატივის რეალიზაციის განყოფილებაში მისამართზე: მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტი“. წიგნის ღირებულებაა 6 მანეთი.

საფოსტო გზავნილით ხელისმომწერლებმა 6მან. 80კაპ. (80კაპ. ფოსტის მომსახურების ხარჯებია) უნდა გადმორიცხოთ კოოპერატივის საანგარიშსწორებო ანგარიშზე №400461470, კოდი 521664 თბილისის ბინსოცბანკის საბურთალოს განყოფილებაში, გადაიღოთ ქვითრის ასლი და გამოაგზავნოთ კონვერტით თქვენი მისამართის ჩვენებით კოოპერატივის მისამართზე: 380004, თბილისი-4, სააბონენტო ყუთი 135 — „არმაზი-88“. გადმორიცხული თანხის ბანკში ჩვენს ანგარიშზე მოხვედრისთანავე წიგნი გადმოგეგზავნებათ ფოსტით.

საფოსტო გზავნილით ხელისმომწერლებს, სურვილისამებრ, შეუძლიათ პირადად მოვიდნენ რეალიზაციის განყოფილებაში, წარმოადგინონ 10 მანეთიანი ქვითარი, გადაიხადონ წიგნის ღირებულება და ადგილზე მიიღონ წიგნი.

წიგნის გაყიდვა იწარმოებს ყოველდღე, კვირის გარდა. 11.00-დან — 19.00 საათამდე, შესვენება 15.00-დან — 16.00 საათამდე.

კოოპერატივის გამგეობა

### მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“ უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერაციული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენი მისამართია: **380007, ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“**

ტელეფონები: **99-02-76, 93-99-70**

**12 საათიდან 17 საათამდე.**

### დახმარებას გთავაზობთ ალტერნატიული და არატრადიციული მეთოდით მკურნალობის ცენტრი „იადგარ დაუდი“

მობრძანდით, აქ მაღალკვალიფიციურ დახმარებას გაგიწევენ ექსტრასენსები, ფიტოთერაპევტები, მასაჟისტები, რომლებიც წარმატებით მკურნალობენ: **ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის, თირკმელის, სახსრების, ხერხემლის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ნერვიული სისტემის, თვალის, ყელ-ყურ-ცხვირის, უროლოგიურ, გინეკოლოგიურ, სწორი ნაწლავის, კბილისა და ღრძილის დაავადებებს.**

სამკურნალო ცენტრ — **„იადგარ დაუდში“** მუშაობენ ზუსტი დიაგნოზის დასმით და ბიოენერგოთერაპიული სამკურნალო სეანსებით, აგრეთვე სამკურნალო ბალახებით. მოსკოვის სახალხო მედიცინის და საბჭოთა კავშირ, ამერიკა — კანადის ერთობლივი ფირმა „გუდბაის“ მიერ დიპლომირებული ექსტრასენსები.

ექსტრასენსი — **მერი დვალიშვილი** მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: საჯდომი ნერვის ანთება, ნევროზს და უძილობას, რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, უნებლიე შარდვას, ღვიძლს, ნაღვლის ბუშტს და ელენთას, ვენების გაგანიერებას, შარდის შეხუთვას, პროსტატას და პროსტატიტს, სმენის დაქვეითებას.

ფიტოთერაფევტი — **იზოლდა ჩერქეზიშვილი** ფარმაკოპეაში მაღალეფექტური სამკურნალო მცენარეებით მკურნალობს: ღვიძლს, კუჭ-ნაწლავის, თირკმელის, პროსტატის, ღრძილების დაავადებებს, ბუასილს, თმის ბუდობრივ ცვენას, მასტოპატიას.

მაღალი ეფექტური ბიოველითა და წერტილოვანი მასაჟით ექსტრასენსი **ირინა ჯულელი** მკურნალობს: რადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ნაღვლის ბუშტის ანთებას, ნევროზს, შიდა ქალის წნევის მიერ გამოწვეულ თავის ტკივილებს, უნებლიე შარდვას ბავშვებში, საკვერცხეების ანთებას, ცისტიტს, ტროფიკულ წყლულს და კისტას.

ფიტოთერაპევტი — **ნაზი ლომიძე** ბიოველით და ბალახეული წამლებით (შავ ღვინოზე დამზადებული) მკურნალობს: თავის ტკივილებს, ინფარქტგადატანილ ავადმყოფებს, იშიაზს, ბრონხიალურ ასთმას, სიყვითლეს, კენჭოვან და ჩირქოვან დაავადებებს, ვენების შევიწროვებას.

ექსტრასენსი — **ნინო ავალიანი** ბიოველით და მედიტაციის დახმარებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს: მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს (ბავშვებში), თავის ქალის შიდა წნევას, ნევროზს, ჩვილ ბავშვთა სამშობიარო ტრავმებს, ენურეზს (უნებლიე შარდვა ბავშვებში) საერთო სისუსტეს, შიშებს, სმენის დაქვეითებას, შაკიკს.

ექსტრასენსი — **ირმა ფსუტური** მკურნალობს: ბრონქიალურ ასთმას, უძილობას, ნევროზს, შიშებს, მენისკს, სახსრების ანთებას, სმენის დაქვეითებას, შარდის შეუკავებას, ყურის ტკივილს, ალერგიას, ჰაიმორიტს, შაკიკს.

**„იადგარ დაუდში“** აგრეთვე მუშაობენ მასაჟის და მანუალური თერაპიის სპეციალისტები: **გოგი ალავიძე და გარი ქალანდაძე**, რომლებიც მკურნალობენ: სახსრების დაავადებას, რადიკულიტს, კისრის რადიკულიტს და სკოლეოზს. საერთო მასაჟით ხდება წონის დაკლება.

ცენტრში ფუნქციონირებს **მწვანე აფთიაქი**, სადაც შეგიძლიათ შეიძინოთ სამკურნალო მცენარეებით დამზადებული წამლები.

მობრძანდით სამკურნალო ცენტრ „იადგარ დაუდში“ აქ მომუშავე ყველა თანამშრომელმა კარგად იცის, რომ დადებითი ემოციები და რწმენა განკურნების აუცილებელი პირობაა.

მიღება ხდება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით.
მისამართი: თბილისი, გალაკტიონის ქ. 8Ձ6
ტელეფონი 99-75-79.

ფირმა „ფორტუნა“ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საჭრელ იარაღებს: (სიმტკიცის 10-ჯერ გაზრდის მიზნით), საიუველირო ნაწარმის, ბიჟუტერიის, კბილის „კარონკების“, პლასტმასის ნაკეთობების ნიტროტიტანით (ოქროსფრად) და სხვა ნივთიერებებით დაფარვას მაგნიტრონულ მეთოდით.

ტელეფონი: 61-74-50
ან 61-74-80

### სამშენებლო ორგანიზაციების საყურადღებოდ!

მრავალპროფილიანი კოოპერატივი „კომპლექს-90“ გთავაზობთ

**სამშენებლო ბლოკების დამამზადებელ ურიკის ტიპის ვიბროდანადგარს**

გაბარიტებით 1650X1500X1800 მმ.

**წარმადობა 300-600** ცალი საათში.

შემსუბუქებული ბლოკის **(390X200X175)** დასამზადებლად აღნიშნულ დანადგარში შეიძლება გამოყენებულ იქნას წიდის, ღორღის ან კერამზიტის ნარევი.

ტელ: **თბილისში — 51-75-09 ($18^{00}$ — $23^{00}$ სთ.)**

**სოხუმში — 4-27-92.**

ფეხსაცმლის კოოპერატივ **„პითონს“ ესაჭიროება მკერავები და მეწაღეები.** ხელფასი ურთიერთშეთანხმებით.

**ტელეფონი 37-72-73**
**ან 38-48-98**

**მისამართი: ლ.გოთუას ქ. 16, ბინა 49.**

### ყურადღება!
#### ანტიკვარიატის მოყვარულთ

მიაკითხეთ წერეთლის გამზ. 101 (გამოფენასთან) მდებარე ავეჯის სალონს.

სრულიად შემთხვევით შემოვიდა ორი ასეული წლის წინ ამერიკის კონტინენტზე დამზადებული უნიკალური მუსიკალური ინსტრუმენტი.

**ფირმა „ბაზილიკა“-ს ესაჭიროება გამყიდველები.**

**ცნობებისათვის დარეკეთ $17^{00}$ საათიდან $20^{00}$ საათამდე**

**ტელეფონზე: 22-20-80**

მცირე საწარმო **„ესთეტი“** ცვლის 4 ტონა შავი ფერის დაბალი წნევის პოლიეთილენის მასალას 3 ტონა თეთრი ფერის ანალოგიურ მასალაზე.

ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: **ალ. ყაზბეგის პრ. № 44.**

**ტელეფონი: 39-48-27.**



ახალგაზრდა ივერიელი
Общественно-политическая газета
1

ტელეფონები: მისალები — 93-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.
НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი
მერაბ გალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია
ქ. თბილისი — 380096
მ. კოსტავას ქ. № 14.